ხელშეკრულება №92
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივრბული შესყიდვა)

ქ. თბილისი

„01„აგვისტო„ 2014 წ.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევის სახით და შპს„ადა" , შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე **კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის** საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება")–შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე","კვირა", „თვე"– კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"– ორგანიზაცია , რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"– პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება"– ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულები საგანია კარტრიჯების შესყიდვა <u>დანართის №1</u> შესაბამისად. (ფასების ცხრილი)

2.2 კლასიფიკატორის კოდი (cpv-30125100)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 <u>**ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 820 (რვაასოცი) ლარი.**</u>

3.3 მისაწოდებელი საქონლის მოცულობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1–ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლისა ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1 ,,მიმწოდებელი საქონლის/შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს **2014 წლის 15 აგვისტომდე.**

4.2 მიწოდების ადგილია ქ, თბილისი ტაბიძის #4

4.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 15 სექტემბრამდე

5. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი /საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 ,,მიმწოდებელი ვალდებულია ,,შემსყიდველის'' მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისასა და ანაზღაურების მიღების მიზნით „შემსყიდველს'' შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3 „შემსყიდველის'' მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო–სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის, სამეურნეო სამმართველოს, შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოადგილე გიორგი სანაკოევი

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარისსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით

ა) ანგარისსწორების ვალუტა–ლარი;

ბ) ანგარისსწორების ფორმა– უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარისფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარისწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარისწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს ''მიმწოდებლისგან'' მისთვის საჭირო დოკუმენტი

7.2 შემსყიდველი'' ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

7.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობრბის დაცვით

7.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია:

ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) დროულად განიხილოს ''შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

8.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი – სამხრეთ ოსეთის ადმინსტრაციის განათლების სამსახურის უფროსი სოსო ცოტნიაშვილი

8.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებიმიერ ეტაპზე.

8.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია 2(ორი) სამუსაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით.

8.5 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფრხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულების ემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%–ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ''მიმწოდებელი'' ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%–ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5(ხუთ) პროცენტს, ''შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ''მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარე ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყპბინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ტავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცხვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

11. ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის",გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველსო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.

11.5 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზგვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვეაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გატავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრლი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუსწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად

მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე 4 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი":
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
მის: ქ.თბილისი კოსტავას №37ა
ტელ: (+995 32) 99 89 90

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა,
საიდენტიფიკაციო კოდი 204532434

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი:

დიმიტრი სანაკოევი

„მიმწოდებელი":
შ.პ.ს. „ადა"
ქ.თბილისი, დიღომი ჩაჩავას ქ. №8
ტელ: 593903309
ს/კ 405027830
საბანკო რეკვიზიტები:
„ ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი REPLGE22
№ GE57BR0000010123833230

შ.პ.ს. „ადა"-ს
დირექტორი

გიორგი ღუღუნიშვილი

2014 წლის „ 01 „ აგვისტოს “ №„92“ ხელშეკრულებასთან დანართი №1

ფასების ცხრილი

№	cpv	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1.	30125100	კარტრიჯი FS-1125MFP, 1060,1025 MFP-KYOCERA (HCTK1120+)	8	50	400
2.	30125100	კარტრიჯი P1005/P1102/M1132/1212nf/LBP6000 CB435/CE285A/CRG725Universal	16	15	240
3.	30125100	კარტრიჯი HPLJP1536/1560/1606CE278/CanonMF4410/4570 CRG728/328	12	15	180
		სულ			820.00

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი
დიმიტრი სანაკოევი

შ.პ.ს. „ადა“-ს
დირექტორი:
გიორგი ლუდუნიშვილი

სახელმწიფო შესყიდვის № 92 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არარსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის მუ-8 მუხლით **(ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები)** გათვალიწინებულ მოთხოვნებს.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი — დიმიტრი სანაკოევი

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამსახურის,სამეურნეო სამმართველოს,
შესყიდვების განყოფილების უფროსი — ინგა ნინიძე

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
საფინანსო–სამეურნეო უზრუნველყოფის
სამსახურის, სამეურნეო სამმართველოს,
შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციისა და მატერიალური
რესურსების მართვის განყოფილების უფროსი — სოსო ელბაქიძე